საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 7 23 0000745894

22/06/2023

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტებისათვის გრიფის მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და ,,ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა/პირებთა (რომელიც/რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს/წარუდგენენ გრიფირების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების თხოვნით) საჩივრების მიღებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 მაისის N563070 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 22 ივნისის N742545 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს გრიფი ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტებს.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი
გიორგი ამილახვარი